


## 21 ოქტომბერს არჩევნებია მოქალაქეთა მიერ თვითმმართველობის უფლების გამოყენება ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებში მონაწილეობით იწყება

2017 წლის 21 ოქტომბერი უმნიშვნელოვანესი დღეა ქვეყნის და, რა თქმა უნდა, ჩვენი მუნიციპალიტეტის ცხოვრებაში - ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნები. ეს არის დღე, რომელმაც დასაბამი უნდა მისცეს ოთხწლიან ციკლს, დასაბამი - ოთხწლიან აღმშენებლობას, დასაბამი - იმ პრობლემის მოგვარებას, რაც ჩვენი მუნიციპალიტეტის წინაშე დგას. აქსიომაა - რაც უფრო მეტი მოქალაქეა ჩართული თვითმმართველობის განხორციელებაში, მით უფრო მეტია თვითმმართველობის განხორციელების ხარისხი. ამავდროულად, თვითმმართველობა არის არა მხოლოდ უფლება, არამედ პასუხისმგებლობაც მიღებულ გადაწყვეტილებებსა და შესრულებულ საქმიანობაზე. აქსიომაა ასევე, რომ თვითმმართველობის მთავარი სუბიექტი ადგილობრივი საზოგადოებაა. ყველაფერი კი არჩევნებში მონაწილეობით იწყება. არჩევნებისადმი ნიჰილიზმი საზოგადოებისაგან განდგომის ტოლფასია, არჩევნებისადმი გულგრილობა საკუთარი პასუხისმგებლობის უარყოფაა მშობლიური სოფლის, დაბის, ქალაქის, ქვეყნის წინაშე.

პოლიტიკური სტრუქტურები, რომლებიც, მათი ინტერესების მაქსიმალური გათვალისწინებით, უზრუნველყოფდა ადამიანების ისეთი საზოგადოებრივი სიკეთებით, რომელთა მიღწევა ინდივიდს ან მცირე ჯგუფს არ შეეძლო. სწორედ ამ მიზნით შეიქმნა სახელმწიფოები, რომლებიც ეფექტურად ფუნქციონირებენ მთელ რიგ სფეროებში. თუმცა, არის რიგი საკითხებისა, რომელთა გადაჭრა სახელმწიფოს მიერ, ცენტრალიზებული წესით არ არის სრულყოფილი, რადგან ადგილობრივი ნიუანსების გათვალისწინება ყოველთვის აუცილებელია საერ-



თო პოლიტიკურ კონტექსტში - ცალკეულ სოფელში როგორ და სად უნდა გაკეთდეს გზის საფარი ან გავიდეს წყლის მილი და სხვა. ამას ცენტრალური ხელისუფლების ვერცერთი წარმომადგენელი ვერ მიხვდება იმ ადამიანებზე უკეთ, რომლებიც ამ სოფელში ცხოვრობენ. ადგილობრივი თვითმმართველობის მთავარი არსიც სწორედ ესაა - საარსებო გარემოს გაუმჯობესება და ადგილობრივი, ლოკალური ინტერესების და სხვა მსგავსი საკითხების უსწრაფესი გადაწყვეტა.

ამიტომაცაა 21 ოქტომბერი უმნიშვნელოვანესი დღე. მივიდეთ ყველა არჩევნებზე, შემოვხაზოთ ჩვენთვის სასურველი კანდიდატი და ხმა მივცეთ ჩვენი სოფლის, დაბის, ქალაქის უკეთეს მომავალს. ეს კი საკუთარი პასუხისმგებლობის აღება და პირველი ნაბიჯი იქნება ჩვენი მუნიციპალიტეტის ოთხწლიან მართვაში.

გ. გოგოლაძე



26 წლის წინ, ჩვენთვის და ჩვენი ქვეყნისთვის თვით ტერმინიც „ადგილობრივი თვითმმართველობა“ რაღაც შორეული, ასტრალში მდებარე ოცნებასავით იყო. უმრავლესობას ვერცკი წარმოედგინა, რომ რუსულ მარწუხებში მოქცეული მამულისთვის მსგავსი რამ ოდესმე მაინც იქნებოდა შესაძლებელი. ყველაფერი კი 1991 წელს დაიწყო, როდესაც საქართველომ, დამოუკიდებლობის აქტის მიღებით, საჯაროდ გამოხატა დემოკრატიული სახელმწიფოს მშენებლობის

სურვილი. 1995 წლის 24 აგვისტოს მიღებული საქართველოს კონსტიტუციით კი საბოლოოდ მოხდა ადგილობრივი თვითმმართველობის დეკლარირება. 2002 წელს საქართველომ ხელი მოაწერა ადგილობრივი თვითმმართველობის ევროპულ ქარტიას, ხოლო 2004 წლის 24 ოქტომბერს საქართველოს პარლამენტმა მოახდინა „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ ევროპული ქარტიის რატიფიცირება“.

მსოფლიო ისტორიამ დიდი გზა განვლო, ვიდრე ადგილობრივ თვითმმართველობაზე მივიდოდა. კაცობრიობის განვითარება ხომ ადამიანთა დიდი თუ მცირე ჯგუფების მცდელობას წარმოადგენს, შეექმნა ისეთი სოციალური თუ

## აღინიშნა მასწავლებელთა საერთაშორისო დღე

5 ოქტომბერს, მასწავლებლის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით, ხაშურის მუნიციპალიტეტის პედაგოგებთან შეხვედრა, ადგილობრივ საგანმანათლებლო რესურსცენტრში გაიმართა.

მრავალშვილიან პედაგოგებს, მასწავლებლის დღე, გამგებლის მოვალეობის შემსრულებელი ზურაბ ჩხიტიანი, გამგეობის განათლების, კულტურის, სპორტის სამსახურის წარმომადგენლებმა და რესურსცენტრის ხელმძღვანელმა ზვიად გოგუაძემ მიულოცეს.

„საქართველოს ყველა მასწავლებელს ვულოცავ მასწავლებლის დღეს, ვუსურვებ წარმატებას და წინსვლას.“

მასწავლებლობა ერთ-ერთი ყველაზე საპატიო, საპასუხისმგებლო და ღირსეული პროფესიაა - აღინიშნა პედაგოგებთან შეხვედრისას გამგებლის მოვალეობის შემსრულებელმა.

გამგეობის განათლების, კულტურის და სპორტის სამსახურის ინიციატივით და ორგანიზებით, პედაგოგებს თაიგულები და ფასიანი საჩუქრები გადაეცათ.

ხაშურის მუნიციპალიტეტის გამგეობა უკვე მესამე წელია სხვადასხვა კატეგორიის მასწავლებლებს ასახუქრებს. საჩუქრები გადაეცათ ხანდაზმულ და დედაწმოსილ, ახალგაზრდა ნოვატორ პედაგოგებს, წელს კი მრავალშვილიანი (ოთხი და მეტი შვილი) პედაგოგები დასახუქრდნენ.

შეხვედრის ბოლოს, პედაგოგებმა მადლობა გადაიხადეს დაფასებისთვის და მასწავლებლის დღის მილოცვისთვის.



21 ოქტომბერს ხაშურის მუნიციპალიტეტის მერს ვირჩევთ. დამოუკიდებლობის წლებში (1990 წლიდან) რაიონის პირველი პირის ტიტული "პრეფექტი" იყო. ამის შემდეგ იგი "გამგებელმა" ჩაანაცვლა, მიმდინარე წლიდან კი მუნიციპალიტეტის პირველი პირის სტატუსი "მერი" იქნება. ვფიქრობთ, მკითხველისათვის საინტერესო იქნება კიდევ ერთხელ გადავხედოთ ისტორიას, თუ ვინ იკავებდა ამ საპასუხისმგებლო თანამდებობებს 1990 წლიდან დღემდე.



გივი იმერლიაშვილი -1991-1992



ალექსანდრე ელიაშვილი -1992-1993



გივი ხვედელიძე-1993-1998



ოთარ ხაჩიძე -1998-1999



ვლადიმერ ჯაფარაშვილი -1999-2002



ვლადიმერ ჯობაძე -2002-2003



რევაზ ჯობაძე-2003-2006



ნოვე ტაბატაძე -2006



ზურაბ ლომიძე -2006



როინ მასარობლიძე-2006-2010-2012



მამუკა მოსიაშვილი-2010-2011



ნიკოლოზ სახვაძე -2011-2012



გიორგი ბერია-2012-2013



მამუკა ხაჩიძე-2013



გიორგი გურასპაშვილი-2013-2017

2017  
?

# ავთანდილ დვალისვილი: თუ ქართველ კაცს ვაზი უყვარს, მაშინ მას მთელი საქართველო უყვარს...

საბჭოთა კავშირის დროს, 80-იან წლებში, ჩვენს რაიონს ბულგარეთის სოფლის მეურნეობის წარმომადგენლები სტუმრობდნენ, რომელთაც ლობიოს კულტურის მოყვანის რეკომენდაციები უნდა მიეცათ ჩვენი ფერმერებისათვის. ბიუროს სხდომაზე, სადაც შეხვედრა მოეწყო, ერთ-

გაერთიანების დირექტორიც ვიყავი...

- მევენახეობით როდის დაინტერესდით?

-მევენახეობით დიდიხანია დაინტერესებული ვარ, რა საქმეშიც არ უნდა ყოფილიყავი, პარალელურად ვაზის მოვლითაც ვიყავი დაკავებული. პირველი, რა



ჯიშიც გავაშენე, "გორული მწვანე" იყო. ამის შემდეგ "ძელშავი", "შავკაპიტო" და სუფრის "გორული" გავაშენე, როცა უკვე შესაბამისი ცოდნა და გამოცდილება დავაგროვე, "საფურავი" დავრგე. მენობას და ყველა პროცედურას მე თვითონ ვაკეთებ. ამ ვენახში "გორული მწვანე", "საფურავი" და "ჩინებული" მაქვს.

- ყველაზე უკეთ რომელი ჯიში მოერგო ჩვენს ნიადაგს და ჰავას?

-აქაური "გორული მწვანე" უკეთეს ღვინოს აყენებს, ვიდრე გორში მოყვანილი. აღმოჩნდა, რომ უნიკალური ჰავა და ნიადაგი იყო ამ ჯიშისთვის, ეს თვითონ გორელებმა აღიარეს. კახეთში შაქრის იმხელა დაგროვება აქვს ყურძენს, თუ წყალი არ გაურიე, ძალიან რთულია მისი დაღვრა. ჩვენთან შაქრიანობა 20-22 გრადუსია. კარგი ღვინო 12 გრადუსია. ლიტერატურაში ცნობილია, რომ ევროპის მთიან ადგილებში, თუ შაქრიანობა არ არის 12 გრადუსი, ისე ღვინო თავის თავს ვერ ინახავს. ღვინო რომ დადუღდება, თეთრ ღვინოს 12-13 თვე და 4-ჯერ გადაღება უნდა, შემდეგ ხდება მისი გამოყენება. შავ ღვინოს კი მხოლოდ 6 თვე ჭირდება.

- სულ რა ფართობზეა ვენახი?

-ეს ვენახი სულ 10 მეასედია, 400 ძირი ვაზია. ეზოში 60 ძირი მაღლარი მაქვს, რაოდენობრივად, იქ უფრო მეტ ყურძენს ვკრეფ.

- ღვინის დაყენების რაიმე თქვენური მეთოდი ხომ არ გაქვთ?

-სულ ჩემებურად ვაყენებ.

ერთმა კოლმეურნეობის თავმჯდომარემ, როგორც ყვებიან, ერთი ამბავი ატეხა, რა გვჭირს ბულგარელების სასწავლი, აქეთ ისწავლიან ჩვენგან, მაგათ ვანახებ, როგორ უნდა ლობიოს მოყვანაო. მხოლოდ ხმამაღალი ლაპარაკი არ იკმარა, ადგა და იმ წელს, ლობიოს რეკორდული მოსავალი მიიღო, სამჯერ მეტი ბულგარელებზე. იმასაც ამბობდნენ, ბულგარელები სახლში რომ დაბრუნებულან, აქედან წაუღიათ რეკომენდაციები და ინოვაციური ტექნოლოგიები. ასეთ და სხვა მრავალ ამბავს ჰყვებიან ბატონ ავთანდილ დვალისვილის შესახებ, რომელსაც დღემდე დიდი პატივით

ქარხნები ფილტრავენ ცემენტობეტონის ფილტრებში, რომელიც მავნეა ჯანმრთელობისათვის. მე პოლანდიური წესით ვფილტრავ. ერთი ნაკლი აქვს, წარმადობა აქვს დაბალი, რაც ქარხნებისთვის წამგებიანია.

- რა მეთოდებით უვლით ვაზს?

-პირველად შვეიცარიულ პრეპარატებს ვიყენებდი. შვეიცარიაში მცენარეთა დაცვისა და მოვლის საშუალებები მაღალი ხარისხით იწარმოება. მავნებლებიც უფრო გავრცელებულია, ამიტომ მეტი ტოქსიკურობა ახასიათებს პრეპარატებს. წამლობის დროს, დამატებით დაცვის საშუალებებს ითხოვს, რაც რთულია ჩემთვის, ამიტომ არატოქსიკურ წამლებს ვიყენებ ახლა. ძირითადად აგროვიტას



იხსენებენ, როგორც ცნობილ აგრონომს, კოლმეურნეობის ს ა ხ ე ლ გ ა ნ თ ქ ი უ ლ თავმჯდომარეს, უბრალოდ კარგ ადამიანს და უბადლო თამადას. დღეს ბატონი ავთანდილი 89 წლისაა. ახალგაზრდული უინით და ახალი გამოცდილებით უვლის ვენახს, აშენებს ვაზს, აყენებს ღვინოს. ჩვენი შეხვედრა მის დაბადების დღეს დაემთხვა, შემოდგომის რთველზე მისულებს, საოცარი სანახაობა დაგვხვდა. ყველა ჯიშის, ყველა ფერის ყურძენი მწიფდა დვალისვილების ეზოში, ქალბატონი ნარგიზა (მეუღლე) ხუმრობით ამბობს, ისე რომ მოველო ჩემთვის, როგორც ვაზს უვლის, რაღა



დამაბერებდაო. ბატონი ავთო კარგი მოსაუბრეც აღმოჩნდა, ფეხდაფეხ დაგვატარა ყველა ვაზი, რომელიც დაამეწო, რომელსაც შვილივით მოუფრთხილდა:



- პ რ ო ფ ე ს ი ი თ აგრონომი ვარ, სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი დ ა ვ ა მ თ ა ვ რ ე . წლების მანძილზე ხ ე ლ მ ძ ვ ა ნ ე ლ ს ა მ უ შ ა ო ე ბ ზ ე ვმუშაობდი, როგორც კარგი სპეციალისტი და კარგი აგრონომი. ვიყავი სურამის კ ო ლ მ ე უ რ ნ ე ო ბ ი ს პარტიული კომიტეტის მდივანი. 1967 წელს კ ო ლ მ ე უ რ ნ ე ო ბ ი ს

თავმჯდომარედ ამირჩიეს და 23 წელი ხან დირექტორი ვიყავი, ხან თავმჯდომარე. სადაც უჭირდა მეურნეობას, იქ მაგზავნიდნენ. ცხრა წელი მეცხვარეობის

წამლებით ვუვლი, სპეციალური სკემის საშუალებით. კონტაქტური და სისტემური საშუალებებით, რომელსაც თავისი გამოყენების ვადები აქვს.

- წელს რა რაოდენობის ღვინის დაყენებას ვარაუდობთ?

-წელს 4-5 ტონა სუფთა წვეწვს ჩავასხამ, მუხის კასრებში ვინახავ, ვადუღებ და გადამაქვს მინის და ემალგამოკრულ ჭურჭელში.

- ღვინოს თუ უიდით ხოლმე?

-დიდი ოჯახი მაქვს, ოთხი შვილი მყავს, მათთვის, მათი შვილების ქორწილების და დღესასწაულებისთვის ვაყენებ ძირითადად. ძალიან მცირე რაოდენობისას ვყიდი.

- შვილები თუ გეხმარებიან?

-ადრე მეხმარებოდნენ, ახლა ყველა დაკავებულია, თავისი საქმე აქვთ. ძირითადად, მე ვუვლი და დამხმარე მყავს პერიოდულად. შვილები მპირდებიან, რომ დაბრუნდებიან და ჩემ საქმეს გააგებლებენ.

თუ ქართველ კაცს ვაზი უყვარს, მაშინ მას მთელი საქართველო უყვარსო - გვეუბნებოდა 89 წლის მევენახე, რომელიც დღესაც მაგალითია თაობისთვის, რომელმაც წარსულის ცოდნაზე და გამოცდილებაზე უნდა შექმნას ქვეყნის მომავალი.

თ. ჯავახიშვილი

# სურამის სახელწოდებისათვის


სურამი საკმაოდ გავრცელებული ტოპონიმია და ამ სახელწოდების რამდენიმე ობიექტი ჩვენთვის ცნობილი. ამ სახელს ატარებს დაბა. აგრეთვე მდინარე (სურამის წყალი, სურამის ფრონე, სურამულა), რომელიც დაბაში მოედინება. ვახუშტი ბატონიშვილი აღწერს სურამის ჭალას, რომელიც ვრცელ ტერიტორიას მოიცავს. იგივე ვახუშტი საუბრობს სურამის ხეობაზეც, რომელიც დაბის ჩრდილოეთით მდებარეობს და აღნიშნული მდინარე ქმნის. იოანე ბატონიშვილი, თავის მხრივ, ასახელებს სურამის მინდორს, რომელიც ისევე, როგორც სურამის ჭალა, დიდ ტერიტორიას (გუგულის ქედამდე) მოიცავს. ტოპონიმი „სურამი“ ყოველთვის იპყრობდა მკვლევართა ყურადღებას. ცდილობდნენ მოეცათ მისი ახსნა, გაერკვიათ მისი წარმომავლობა, შინაარსი და სხვა.

სპეციალურ ლიტერატურაში ტოპონიმ „სურამის“ შესახებ გამოთქმულია რამდენიმე მოსაზრება. პროფ. ზ. ჭუმბურიძის მოსაზრებით, „სურამი“ თურქულად ნიშნავს „ციხეს“ და სწორედ ციხის აქ არსებობის გამო უნდა დარქმულა გეოგრაფიულ პუნქტს ეს სახელი. თუმცა, ისიც გასათვალისწინებელია, რომ ადამიანის სახელი ზურაბი თურქულ გამოთქმაში იცვლება და გვაძლევს სურამ ფორმას. ამის გამო, სახელი ზურაბი დაუკავშირდა სურამის ციხეს და ეს უკანასკნელი გაგებულ იქნა, როგორც „ზურაბის ციხე“.

პროფ. ზ. ჭუმბურიძე სხვა დროსაც შეხებია ტოპონიმ „სურამს“ და თითქმის ერთი და იგივე ახსნა აქვს მოცემული. მაგალითად, მას მიიჩნია, რომ სურამი არის იგივე ზურაბი, ოღონდ თურქული გამოთქმის მიხედვით შეცვლილი. სხვაგან იგი შემდეგს აღნიშნავს სურამის შესახებ: „სურამი, როგორც ირკვევა, არის იგივე ზურაბი (ადამიანის სახელს ზურაბს ფონეტიკურ ცვლილებათა შედეგად მოუცია სურამი)“.

ტოპონიმ „სურამის“ წარმომავლობის საკითხს ეხება პროფ. შ. ქურდაძეც, რომელიც სამართლიანად თვლის, რომ საკითხის კვლევა უნდა დაფუძნდეს „უპირველესად, ადგილობრივი, თვითმყოფადი ცნობების საფუძველზე“ და არ იზიარებს პროფ. ზ. ჭუმბურიძის მოსაზრებას „ზურაბ სახელიდან სურამის სახელწოდების მიღების შესახებ“.

„ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, — აღნიშნავს პროფ. შ. ქურდაძე, — საქმე იმაშია, რომ სურამის ციხე სურამზე ადრე არ აღინიშნება ისტორიულ წყაროებში. ჩვენს უმთავრეს ისტორიულ მატრიანებში სურამის ტერიტორიაზე არსად ზურაბის სახელწოდების ციხე არ სახელდება.“



ციხე სურამის სახელით ხშირად მოიხსენიება XVII საუკუნიდან, ხოლო ლეგენდა ზურაბის ციხეში ჩატანების თაობაზე დანიელ ჭონქაძის მეოხებით დაუკავშირდა სურამის ციხეს XIX საუკუნის მეორე ნახევრის დასაწყისში. ცხადია, ასეთ ვითარებაში დიდად საეჭვო ხდება ზურაბის სახელის პირველადობის საფუძველზე წარმო-

ედგინოთ ქალაქის ტრადიციული სახელწოდების წარმომავლობა. ვიმეორებთ: ძველ წყაროებში რომ სადმე, სურამის რეგიონში, მოხსენებული იყოს ზურაბის ციხე ან ზურაბის მოდგმა, მაშინ, შესაძლოა, გვეფიქრა სურამის ზურაბ სახელიდან წარმომავლობის შესახებ. სხვა შემთხვევაში კი, ვფიქრობთ, გაძნელებულია ამ მოსაზრების დაჯერება“. არ შეიძლება, არ დაეთანხმო პროფ. შ. ქურდაძეს, როცა იგი აღნიშნავს, რომ ტოპონიმ „სურამის“ წარმომავლობის ზუსტი ახსნა-განმარტება არ ხერხდება, თუნდაც იმ მწირი ცნობისა თუ მასალის მიხედვით, რაც მას გააჩნია. იგი შესაძლებლად მიიჩნევს, სურამის გააზრება დაუკავშიროთ სიტყვა „სურმას“ და ვრცლად მიმოიხილავს ამ სიტყვას. კერძოდ, იგი ამბობს, რომ სიტყვა „სურმა“ საბას აზრით, „სხვათა ენა, მოსახლომს სურმას ქართულად საოლავე ეწოდების და სამკურნალო საოლავეს კოლურით“. მეორე მხრით, დიდი ლექსკოლოგრაფი „საოლავეს თვალის სურმას“ უწოდებს. ნ. ჩუბინიშვილი სურმას „საგრიმელადა და საოლავედ იხსენებს“. აქვე მას სიტყვა „საგრიმელი წარბთ საოლავე, წარბთ საღებავი“.

პროფ. შ. ქურდაძე შემდგომ აღნიშნავს, რომ იოანე ბატონიშვილი, „ქართლ-კახეთის აღწერაში“, თრიალეთის მხარის მთებისა და მინდორ-საძოვრების დახასიათებისას, ჩვენთვის საინტერესო სიტყვას „სურმას“ ამგვარად გვაძენობს: „ქართლისა: დოღლაურის ჭალა და სურმის მინდორი გუგულის მთით“ და შემდეგ დასკვნას აკეთებს: „ამგვარად, როგორც ვხედავთ, ისტორიულად და გეოგრაფიულად სიტყვა „სურმა“ დასტურდება ახლანდელი სურამის მიდამოებთან ახლოს. ამასთან, მოცემულ კონტექსტში, „სურმა“ სიტყვა წარმოღვენილია შეკვეცილი სახით „სურმის“. აქედან შეიძლება, ვიფიქროთ, რომ ტოპონიმი სურამის წარმოშობას, თავდაპირველად, ლიბოდ შეიძლება, დასდებოდა მის ველ-მინდორებში ადამიანთა სახის შესამკობად ზემოთ ხსენებული საშუალებით „სურმის“ არსებობა“.

პროფ. შ. ქურდაძის მოსაზრებით „...ამ ვარაუდს ერთგვარად ამტკიცებს ის ფაქტიც, რომ იოანე ბატონიშვილი ზემოთ დასახელებულ ძეგლში „სურამის“ ტრადიციულ სახელთან ერთად ასახელებს მის მეორე დასახელებასაც, „ყასაბა ქალაქი“ (ტოპონიმიკა, II, გვ.39). სიტყვა „ყასაბა“ ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში ასეა ახსნილი: „ყასაბა არაბ. კასაბა“ ნაზი ქსოვილი, ვევიპტური, მზის სხივი“, იგივეა რაც შუბლსაფენი, „თავზე შემოსაკერელი ირიბათ იყო გამოჭრილი, ყასაბას ვეძახდით იმას, (შინამრეწველობა) ქართული ენის განმარტ. ლექსიკ. ტ. VII, 1962. გვ. 512).

საყურადღებოა ისიც, რომ სიტყვა „ყასაბა“ ინგილოურ დიალექტშიც ადამიანის ვიწრო ჩასაცმელთან არის დაკავშირებული (მასალები საქართველოს შინამრეწველობისა და წვრილი ხელოსნობის ისტორიისათვის, აკად. ი. ჯავახიშვილის საერთო რედაქციით. ტ.5. 1982, გვ. 64).

წარმოდგენილი ცნობის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, სურამის მეორე სახელწოდებაც მისი სამეურნეო საქმიანობასთან — ადამიანის მოსახლენი ჩასაცმელის (თუ შუბლსაფენის) დამზადების კულტურის არსებობასთან არის დაკავშირებული. ახლა თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ ამჟამად სურამი მოიხსენიება, როგორც კურორტი დაბა, მაშინ სურამის სახელწოდების (თუ სახელწოდებების) წარმომავლობა, მისი ცალკეული სამეურნეო და კულტურული დარგების განვითარების მიხედვით, პირობითად, დაახლოებით შეიძლება,

ასე წარმოვიდგინოთ: უძველესი სურამი, ადამიანთა პირისახის კოსმეტიკის საშუალებების მიგნებას, გამოყენებას შეიძლება, დაუკავშირდეს. ძველი — სურამი, „ყასაბა ქალაქი“, ორივე სახელწოდება ერთად, შეიძლება ადამიანთა ჩაცმელობის თუ შუბლსაფენის დამზადებას დაუკავშირდეს.“

ავითარებს რა ასეთ თვალსაზრისს პროფ. შ. ქურდაძე სურამის სახელწოდების წარმომავლობის შესახებ, შემდეგ დასკვნას გვთავაზობს: „და ბოლოს, ორიოდ სიტყვით „სურმას“ და „სურამის“ ურთიერთმიმართების ენათმეცნიერული ინტერპრეტაციის შესახებ: შესაძლოა, სიტყვა „სურმაში“, მეტათუხის საფუძველზე, ხმოვანი „ა“ გადავიდა „მ“-ანის წინ და შემდეგ „მ“ მაწარმოებლის მეშვეობით მივიღეთ „სურამი“. ამ შემთხვევაში ჩვენ იმავე ტიპის ტოპონიმიკურ წარმოებასთან შეიძლება, გვქონდეს საქმე, როგორც მაგალითად, ბეკამი-ი, თეხამი-ი, ოკამი-ი, ცხამი-ი, ხარჯამი-ი, ბეთლემი-ი, იღემი-ი, გრემი-ი და სხვა.“

ან: სიტყვა „სურმადან“ ისტორიულად „მ“-ს ტიპის მაწარმოებლით შესაძლოა, მივიღეთ „სურამი“. შემდეგ კი ფუძისეული „მ“ ამოვარდნის შემდეგ, დისიმილაციის საფუძველზე, მივიღეთ ტოპონიმი „სურამი“.

ძალიან მოკლედ, ასეთია ჩვენი მოკრძალებული ვარაუდი ტოპონიმ სურამის წარმომავლობის შესახებ — აღნიშნავს პროფ. შ. ქურდაძე სტატიის დასასრულს.

როგორი საინტერესოც არ უნდა იყოს პროფესორების ზ. ჭუმბურიძის და შ. ქურდაძის მოსაზრება და მსჯელობა ტოპონიმ „სურამის“ შესახებ, თავიდანვე გვინდა, შევნიშნოთ, რომ მათ მიერ ტოპონიმის ასეთ ახსნას ვერ გავიზიარებთ.

ჯერ ერთი, ტოპონიმ „სურამის“ ახსნა თურქული სინამდვილიდან, როგორც ამას პროფ. ზ. ჭუმბურიძე აკეთებს, მიზანშეუწონლად მიგვაჩნია, რადგან სანამ თურქები გამოჩნდებოდნენ საქართველოში, ხოლო შემდეგ დაუმეზობლდებოდნენ კიდევ, სურამი, როგორც დასახლებული პუნქტი, დიდი ხნის წინ უკვე არსებობდა და ბერძენ და რომაელ მოგზაურებთან და გეოგრაფებთან იგი დაფიქსირებულია, როგორც სურიუმი, სურა და სხვა. ამდენად, სურამის, როგორც ტოპონიმის გააზრებაში თურქული ელემენტი უნდა გამოვრიცხოთ.

რაც შეეხება პროფ. შ. ქურდაძის მოსაზრებას, უნდა შევნიშნოთ, რომ მას თავისდაუნებურად დაშვებული აქვს რიგი უზუსტობანი, რაც მომდინარეობს ი. ბატონიშვილის „ქართლ-კახეთის აღწერის“ არასწორი წაკითხვისაგან.

ი. ბატონიშვილის „აღწერის“ ორი გამოცემა არსებობს. პირველად იგი დაიბეჭდა 1980 წელს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ახალი ქართული ენის კათედრასთან არსებულ ტოპონიმიკური ლაბორატორიის კრებულში, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორის ნორა კოტინოვას მიერ. ხოლო მეორედ, ცალკე წიგნად გამოვიდა ქართული საისტორიო მწერლობის სერიით, 1986 წელს, თინა ენუქიძისა და გურამ ბედოშვილის რედაქციით. როგორც ამ უკანასკნელი გამოცემიდან ირკვევა, ძველის ნორა კოტინოვისეულ პუბლიკაციას მთელი რიგი უზუსტობანი ახლავს. ერთ-ერთი ასეთი ხარვეზია გამოცემის მიერ არასწორად წაკითხული ტექსტი. სურამთან დაკავშირებით შემდეგი ხარვეზებია დაშვებული: ხელნაწერში საუბარია სურამის მინდორზე, ხოლო ნ. კოტინოვისეულ პუბლიკაციაში — სურამის მინდორზე. სწორედ ეს უზუსტობა დაედო საფუძველად პროფ. შ. ქურდაძის მსჯელობას სურამის სურმიდან წარმოშობის შესახებ. ი. ბატონიშვილი გარკვევით ლაპარაკობს სურამის და არა სურამის მინდორზე. სხვათა შორის, სურამის მინდორი, ველი დასტურდება სხვა წყაროებითაც. ამდენად, ი. ბატონიშვილზე დაყრდნობით ტოპონიმ „სურამის“ გააზრება სიტყვა „სურმას“ საფუძველზე არასწორად მიგვაჩნია. თუმცა, სიტყვა „სურმას“ პროფ. შ. ქურდაძე სავსებით სწორედ განიხილავს. მაგრამ, ამ შემთხვევაში, მას არავითარი საერთო არ აქვს სურამთან.

ასევე, არასწორად მიგვაჩნია პროფ. შ. ქურდაძის მოსაზრება იმასთან დაკავშირებით, რომ ი. ბატონიშვილი, სურამის ტრადიციულ სახელთან ერთად, ვითომ ასახელებს მის მეორე სახელწოდებას — „ყასაბა ქალაქს“ და მასზე დაყრდნობით კვლავ ტოპონიმ „სურამის“ ახსნას ცდილობს. „ყასაბასთან“ დაკავშირებით პროფ. შ. ქურდაძის მსჯელობა სწორია, მაგრამ ეს ვარაუდი ტოპონიმ „სურამთან“ დაკავშირებით არაზუსტია, რადგან „ყასაბა ქალაქად“ ი. ბატონიშვილი მარტო სურამს არ მიიჩნევს, იგი ასეთივე ქალაქად ასახელებს ანანურს, ახალგორს, დუშეთს, ცხინვალს, აქვე დასახელებული ყასამა ქალაქი გორი და ქალაქები ახალციხე, სიღნაღი და თბილისი. ე.ი. იოანე ბატონიშვილის მიხედვით, მის თანადროულ საქართველოში ქალაქის სამი ტიპია: ყასაბა, ყასამა და ქალაქი.

ყასაბა და ყასამა სპარსული ტერმინებია. ჩვენთვის საინტერესო ყასაბა ლექსიკონგრაფ მ. დაფარევის მიხედვით, ნიშნავს სოფელს, დასახლებულ პუნქტს, ქალაქის ტიპის დასახლებას. ი. რუბინიკის მიხედვითაც, იგივე მნიშვნელობით არის განმარტებული: სოფელი, პატარა ქალაქი, დაბა.

ამრიგად, როცა ი. ბატონიშვილი სურამს „ყასაბა ქალაქს“ უწოდებს, თვლის, რომ სურამი ქალაქის ტიპის დასახლებაა, პატარა ქალაქია, დაბაა. როგორც ვხედავთ, პროფ. შ. ქურდაძისეულ „ყასაბას“ გააზრებას არავითარი საერთო არა აქვს ი. ბატონიშვილისეულ „ყასაბასთან“. პროფ. შ. ქურდაძე სულ სხვა მნიშვნელობით განიხილავს მას, მაშინ, როცა ი. ბატონიშვილთან იგი სხვა შინაარსის მატარებელია. ინტერესმოკლებული არ უნდა იყოს ერთი მოსაზრებაც. სურამი, ისევე როგორც ბეკამი, — ამ სუფიქსით ნაწარმოები სახელია. მასში ძირია „სურ“, — სახელობითი ბრუნვის ნიშანია. ძირი „სურ“ სხვა სახელებშიც გვხვდება. მაგ: სურ-ე-ბი, კელა-სურ-ი, ხევ-სურ-ეთი-ი... ჩვენი ყურადღება მიიპყრო პროფ. ს. მაკალათიას ნაშრომმა „ხევსურეთი“, რომელშიც ვკითხულობთ: „ხევსურეთი მაღალმთიანი ქვეყანაა, რომელიც ღრმა ხევებით არის დაღარული. მისი გეოგრაფიული სახელწოდებაც „ხევსურეთი“ უძველესია აქედან არის წარმომდგარი და ნიშნავს ღრმა ხევებიან ადგილს“.

ამრიგად, ს. მაკალათიას აზრით, ამ კუთხეს „ხევსურეთი“ დიდი მთავარიანობისა და ღრმა ხევებით „დაღარულობის გამო შერქმევია“.

მართალია, სურამის რეგიონი ისეთი ღრმა ხევებით არ გამოირჩევა, როგორც ხევსურეთისათვის არის დამახასიათებელი, მაგრამ აქაც არაერთი ხევი გვხვდება, რომლებსაც მდ. სურამულას პატარა შენაკადები ქმნიან (ბაიანთხევი, კაკალათხევი, ურთხვის ხევი და ა.შ.), რეგიონი მრავალი ხევით არის დაღარული. არ არის გამორიცხული რომ, სწორედ ეს ფაქტორი შეიძლება დადებოდა საფუძველად სურამის სახელწოდებას.

უკანასკნელ პერიოდში, ტოპონიმ „სურამის შესახებ“ გამოჩნდა კიდევ ერთი მოსაზრება, რომელიც ეკუთვნის პროფ. გ. ყორანაშვილს. იგი სურამს მიიჩნევს ზანურ ტოპონიმად და წერს: „ამავე ენის (ე.ი. ზანურის-თლ.) მიხედვით „სურამი“ აიხსნება, როგორც სურიანი... („ამი“ სუფიქსი ეთანადება ქართულ „იანს“).“ ვფიქრობთ, ტოპონიმ სურამის შესახებ გამოთქმული ყველა მოსაზრება, საინტერესო და გასათვალისწინებელია.

# „დაცული უფლებები და ღირსეული შრომითი პირობები“

ეს არის ძირითადი დევიზი - რისთვისაც იუნესკომ 5 ოქტომბერი მასწავლებელთა მსოფლიო დღესასწაულად გამოაცხადა. საქართველოში 1994 წლიდან აღინიშნება მასწავლებელთა საერთაშორისო დღე.

საქართველოს პედაგოგთა და მეცნიერთა თავისუფალ პროფკავშირს ღირსეული ადგილი უჭირავს მსოფლიო ინტერნაციონალის წევრ ორგანიზაციათა შორის, რაც კიდევ უფრო მეტ პასუხისმგებლობას და ვალდებულებას გვანიჭებს განათლების თითოეული მუშაკის უფლებების დასაცავად საყოველთაო, ხარისხიანი განათლების უზრუნველსაყოფად. ჩვენი ორგანიზაცია დღენიადაგ ზრუნავს განათლების მუშაკთა სოციალურ-ეკონომიკური, სამართლებრივი და პროფესიული უფლებების დასაცავად, პროფესიული განვითარებისა და მასწავლებლის პრესტიჟის ასამაღლებლად.

პროფკავშირის ერთ-ერთი მიღწევაა, 2013 წელს, შრომის კოდექსში შეტანილი ცვლილებები, რის საფუძველზეც წარსულს ჩაბარდა მოკლევადიანი შრომითი ხელშეკრულებების საფუძველზე განათლების მუშაკთა უკანონო გათავისუფლება. გაუქმდა 37-ე მუხლის „დ“ ქვეპუნქტი, რომლის საშუალებითაც ყოველგვარი ახსნა-განმარტების გარეშე შეეძლოთ დასაქმებულის გათავისუფლება. პედაგოგთა პროფკავშირი არის ყველა სამთავრობო კომისიის წევრი, პროფკავშირი მონაწილეობას იღებს საკანონმდებლო და კანონქვემდებარე აქტებში ცვლილებების შეტანის დროს.

ქვეყნის დემოკრატიული პროცესების დამკვიდრების საქმეში აქტიურად მონაწილეობს პროფკავშირი. ჩვენი შრომა, ცდა, ბრძოლა მიმართულია იქითკენ, რომ დავიცვათ საკუთარი წევრების შრომის პირობები, ვიზრუნოთ მათი მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის.

ერთად დგომით ჩვენ შევძლებთ ჩვენს ქვეყანას აღვუზარდოთ სწორი აზროვნების, განათლებული, ზნეობრივად სუფთა და ეროვნული სულისკვეთებით გამსჭვალული თაობა.

2013 წლის მისში სპიპო გამოვიდა მოთხოვნით „სკოლასა და მასწავლებელს შორის გასაფორმებელი შრომითი ხელშეკრულების სავალდებულო პირობების შესახებ“ განათლების მინისტრის №959 ბრძანებაში შესულიყო ცვლილება, რომლის თანახმად პედაგოგს მიეცემოდა შესაძლებლობა ესარგებლა ანაზღაურებადი შვებულებით არანაკლებ 40 სამუშაო დღისა. განათლების მინისტრმა დააკმაყოფილა პროფკავშირის პრეზიდენტის ქალბატონ მაია კობახიძის მოთხოვნა და აღნიშნულ ბრძანებაში განხორციელდა ცვლილება, ნაცვლად ჩანაწერისა „მასწავლებელს შეუძლია ისარგებლოს ანაზღაურებადი შვებულებით არანაკლებ 24 სამუშაო დღისა“ შევიდა-ნორმა „მასწავლებელს შეუძლია ისარგებლოს ანაზღაურებადი შვებულებით არანაკლებ 40 სამუშაო დღისა.“

„საჯარო სკოლების მასწავლებელთა შრომის ანაზღაურების მინიმალური ოდენობისა და პირობების დადგენის თაობაზე“ განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 126/6 ბრძანებაში ცვლილებების მიზნით სპიპოს პრეზიდენტის ქალბატონ მაია კობახიძის არაერთი მიმართვის საფუძველზე, 2000 წლის ჩათვლით, უმაღლესი პედაგოგიური განათლების მქონე პირებს შორის ანაზღაურება უკვე მიეცათ მაგისტრის აკადემიური ხარისხის შესაბამისად.

პროფკავშირის აქტიური ჩართულობითა და არაერთგზის მცდელობით, მასწავლებლის სასერთიფიკაციო დანამატის სრული ოდენობა განისაზღვრება 15 და მასზე მეტი დატვირთვის დროსაც.

„მასწავლებლის საქმიანობის დაწესების, პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის“ საქმიანობაში აქტიურად არის ჩართული ორგანიზაცია. პედაგოგებს ხელს ვუწყოთ ადგილზე ჩაუტარდეთ კვალიფიკაციური, საქმიანი ტრენინგები-სხვადასხვა საგანში და პროფესიულ უნარებში.

მუშაობაში დანერგილია განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან თანამშრომლობით ფართომასშტაბიანი კონფერენციები.

პედაგოგთა და მეცნიერთა პროფკავშირი აქტიურად არის ჩართული მუშაობაში „სკოლამდელი აღზრდისა და განათლების შესახებ“ კანონ-პროექტის შემუშავებასა და დახვეწაში. მათთვის შემუშავებული ერთიანი სტანდარტი მათ დაუბრუნებს საგანმანათლებლო სტატუსს.

სპიპოს აქტიური ჩარევით ცვლილება შევიდა კანონში და 2013 წლის 1 დეკემბრიდან „ის პირები, რომლებიც ახორციელებენ შრომით ანაზღაურებად საქმიანობას ზოგადსაგანმანათლებლო, პროფესიულ და უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში, სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტებში, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიაში, სოფლის მეურნეობათა აკადემიაში, მუზეუმებში, ბიბლიოთეკებში, სკოლა-პანსიონებში, სკოლამდელი აღზრდის, სკოლის გარეშე და საადმინისტრაციო საქმიანობის განმახორციელებელ დაწესებულებებში, უფლებამოსილი ხდებიან, მიიღონ პენსია ხელფასთან ერთად“.

2014 წლის თებერვალში, განათლების პროფკავშირმა წერილობით მიმართა განათლების სამინისტროს, საჯარო სკოლების პედაგოგთა საბაზო ხელფასის ეტაპობრივი ზრდის მოთხოვნით, რათა იგი გაუთანაბრდეს საჯარო სექტორში დასაქმებულთა საშუალო ხელფასს. ხელფასის ზრდა განხორციელდა ორ ეტაპად, თუმცა სასურველ შედეგამდე არა. პროფკავშირი კატეგორიულად ითხოვს საბაზო ხელფასის ზრდა გამიჯნოს პედაგოგთა კატეგორიების მიხედვით სახელფასო ზრდისგან.

განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან კონსტრუქციული, თანმიმდევრული თანამშრომლობის შედეგად, 2017 წლის 16 ივნისიდან, საჯარო სკოლის ყველა მასწავლებელს საავადმყოფო ფურცელს სრული ხელფასიდან აუნაზღაურებენ ჩვენი მოთხოვნის საფუძველზე.

ჩვენი ორგანიზაციის განათლების სამინისტროსთან თანამშრომლობას აქვს ლოგიკური გაგრძელება, მიმდინარე წლის 17 მარტს, განათლებისა და მეცნიერების მინისტრ ბატონ ალექსანდრე ჯაფარიასა და მეცნიერთა თავისუფალი პროფკავშირის პრეზიდენტ ქალბატონ მაია კობახიძეს შორის სახეიმი ვითარებაში გაფორმდა მემორანდუმი ურთიერთთანამშრომლობის შესახებ. საერთაშორისო წარმომადგენლობამ დარგობრივი შეთანხმება შეაფასა, როგორც ისტორიული მოვლენა.

მიუხედავად ჩვენს მიერ გავწეული მუშაობისა, საგანმანათლებლო სისტემაში დასაქმებულთა პრობლემები ჯერ კიდევ ბევრია. დღეს ჩვენთვის პრინციპული საკითხია ხელფასების ზრდა პედაგოგების, ადმინისტრაციისა და ტექპერსონალისთვის. ჩვენ გვჯერა, ეტაპობრივად, ყველა პრობლემას გადავჭრით.

ძვირფასო კოლეგებო, თქვენ ბევრჯერ დაამტკიცეთ, რომ ყველა ბარიერისა და სირთულის გადალახვა შეგიძლიათ. მრავალწლიანი წარმატებული პედაგოგიური მოღვაწეობის კვალდაკვალ, ახალ გამოწვევებსაც სათანადოდ უმკლავდებით. თქვენი რთული და საპატიო შრომით იმსახურებთ უმაღლეს ჯილდოს - საზოგადოებისა და აღსაზრდელ-ადრდილების სიყვარულსა და პატივისცემას.

თითოეული თქვენგანის წარმატება ღირსებას გვმატებს, რადგან კარგად გვესმის, რომ განათლების დარგში მიღწევები ჩვენი ქვეყნის წარმატების საფუძველია.

ახალ 2017-2018 სასწავლო წელს გილოცავთ ყველა პედაგოგს, განათლების ყველა მუშაკს, ადმინისტრაციასა და ტექპერსონალს, რაიონის განათლების რესურსცენტრის ხელმძღვანელსა და ყველა თანამშრომელს, რაიონის სკოლებიდან წარგზავნილ გრანტისმფლობელ სტუდენტებს, ყველა პირველკლასელს, მოსწავლეებს და მათ მშობლებს.

ბევრი შვილი ჩვენი მომავალია, კარგად აღზრდილი და განათლებული, რაც ჩვენი უპირველესი მოვალეობაა, ქვეყნის სიძლიერე და უკვდავებაა. მასწავლებლის დღეს გილოცავთ, ვინც დღეს სკოლაში აღარ მუშაობს, მაგრამ გულისფანცქალით ისმენს სკოლის ზარს.

ჩვენ ყველა სიძნელეს ერთიანობით, თანადგომით და სოლიდარობით დავძლევეთ.

სიყვარულითა და პატივისცემით,  
ინეზა (ზიზი) ელისაშვილი-შუბითიძე

## ბუნება არ ცნობს ბიოლოგიურ ნარჩენებს

აღბათ ყველას გეცნობათ ეს სურათი სოფლად: ნარჩენებით სავსე პოლიეთილენის ტომრები ეზოების ჭიშკრებთან, რომლებიც კვირის რომელიღაც დღეს ნაგვის მანქანას ელოდება ნაგავსაყრელზე გასატანად. სამწუხაროდ, ჩვენთან ნაგვის მეორადი გადამამუშავება თითქმის არ ხდება.

ერთი შეხედვითაც სჩანს, რომ ნაგვის უდიდესი ნაწილი ამ ტომრებში ბიოლოგიური ნარჩენებია: ფოთლები, მიწა, ნაცარი და ა. შ.

ჩვენ გამოვიკვლიეთ სიტუაცია. გამოიკვთა პრობლემები:

- ნაგვის 80% სოფლად ბიოლოგიური ნარჩენებია. მის გასატანად მოსახლეობა იყენებს უამრავ პოლიეთილენის ტომარას, რაც ბუნებისათვის დამატებითი დაბინძურებაა. მრავალი ათეული წელია საჭირო, სანამ პოლიეთილენი საბოლოოდ დაიშლება ბუნებაში.

- დიდი რაოდენობის ნაგვის გასატანად იხარჯება ზედმეტი სამუშაო ძალა და რესურსები. -გამოკითხვამ ისიც აჩვენა, რომ მოსახლეობის დიდი ნაწილი ჩამოცვენილ ფოთლებს წვავს, რაც ჰაერს აბინძურებს. რა გარემოსდაცვითი ღონისძიება შეიძლებოდა განგვეხორციელებინა პრობლემების მოსაგვარებლად?

ჩვენ ვიფიქრეთ, რომ შეიძლებოდა ნაგვის რაოდენობის შემცირება. ბიოლოგიიდან ვიცით, რომ ორგანული ნარჩენებისგან ( ფოთლები, ტომრები, მიწა და ა.შ.) შედარებით მოკლე დროის განმავლობაში ძვირფასი ორგანული სასუქის, ანუ კუმუსის მიღება შესაძლებელია. ამ პროცესს კომპოსტირება ჰქვია.

სკოლის ეზოში მეორადი მასალისგან ავაგეთ კომპოსტიერი. მასში ვათავსებთ სკოლის ეზოში მოგროვილ ფოთლებს და სხვა ბიოლოგიურ ნარჩენებს. რამდენიმე ხანში, ეს ბიოლოგიური ნარჩენები ნეშომბალიან შავ მიწად გარდაიქმნება. ამ შავ მიწას კვლავ სკოლის ნაკვეთში შევიტანთ და ხეებს ბუნებრივ სასუქს მივაწვდით.

ეს ყველაფერი იმას ნიშნავს, რომ ძვირფას ნარჩენებს გაუზარებლად კი არ ვყრით, არამედ ბუნებრივ, ბიოლოგიურ წრებუნებაში ვაბრუნებთ. ბიოლოგიური ნაგვის შემცირებით, ჩვენ ვამცირებთ გადასაყრელი პოლიეთილენის ტომრების რაოდენობასაც, რაც ოდნავი „შვება“ მაინც არის გარემოსთვის. კომპოსტირება ნიშნავს გარემოსადმი გაცნობიერებულ დამოკიდებულებას.

შეიტანეთ თქვენც საკუთარი წვლილი გარემოსდაცვით საქმიანობაში - შეამცირეთ ნაგვის რაოდენობა კომპოსტირების საშუალებით!

ქინძათის საჯარო სკოლა IX კლასის მოსწავლეები






**ერთხელაც გადმომახედეთ წვერიდან ღორინამკალის, დავრახტო ნისლი რაშივით, მერე თუ გინდა „მამკალით“! გელა ჩადუნელის ფოტო.**

**ქართული ადომი, რომელმაც უკრაინაშიც მიიქცია ყურადღება**

ამ დღეებში, უკრაინის დედაქალაქ კიევში მცხოვრებმა გამოჩენილმა ქართველმა პოეტმა, საქართველოს ეროვნულ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსმა, დიდმა მამულიშვილმა და მოღვაწემ ბატონმა რაულ ჩილანავამ ფეისბუქის ვებგვერდზე გამოაქვეყნა გაზეთ „ლიტერატურა უკრაინა“ ფურცლებზე დაბეჭდილი წერილი ღესია უკრაინკასადმი მიძღვნილი ალბომის შესახებ.



ალბომი შეადგინა და ხაშურის მუნიციპალიტეტის გამგეობის ფინანსური მხარდაჭერით, 2016 წელს გამოსცა ხაშურის რაიონული გაზეთის რედაქტორმა ბატონმა რობერტ სუხიაშვილმა.

სასიამოვნოა, რომ ამ მართლაც საინტერესო ალბომის გამოსვლა ყურადღების გარეშე არ დატოვა ჩვენმა სახელმწიფომ თანამემამულემ და თავისი დამოკიდებულება ამ ნაშრომისადმი ცნობილი გახადა უკრაინის ლიტერატურული საზოგადოებისათვის. მადლობა მას ამისთვის. ჩვენ კი, ჩვენის მხრივ უნდა დავამატოთ, რომ ქართველებისათვის საამაყო ისეთი მაღალი რანგის მწერლის არსე-

ბობა, როგორც ბატონი რაულია. ის ათეული წლებია იღვწის ქართული და უკრაინული ლიტერატურული ურთიერთობების განმტკიცებისათვის, უდიდესი წვლილი შეაქვს ხალხთა დაახლოებისა და კულტურულ ფასეულობათა პროპაგანდის საქმეში. მისი ორიგინალური ლექსები, თარგმანები, გამოკვლევები დიდი პოპულარობით სარგებლობს როგორც საქართველოში ისე უკრაინასა და ბალტიპირეთის ქვეყნებში, სადაც ის მოღვაწეობდა უკრაინის სრულფლებიანი ელჩის სტატუსით.

ვუსურვებთ ბატონ რაულს ხანგრძლივ სიცოცხლეს. დიდხანს გვეუღებოდეთ ქართველი და უკრაინელი ხალხების ძმობა-მეგობრობის სადარაჯოზე!

მურად მთვარელი

**ქართული ადომი ღესია უკრაინკას შესახებ**

ზუსტად 65 წლის წინ, 1952 წლის 3 აგვისტოს, საქართველოს ერთ-ერთ კუთხეში, სურამში, მსოფლიოში პირველად გაიხსნა გენიალური უკრაინელი პოეტი ქალის ღესია უკრაინკას ძეგლი. ამ არაორდინალური კულტურული ღონისძიების ორგანიზატორი კი, იმდროინდელ საქართველოს მწერალთა კავშირთან ერთად, იყო საქართველოს სახალხო პოეტი გიორგი ლეონიძე, ხოლო პოეტი ქალის სკულპტურის ავტორი - ცნობილი მოქანდაკე თამარ აბაკელია - უკრაინელი მწერლების გულწრფელი მეგობრის კარლო კალაძის მეუღლე.

აი, როგორ იხსენებდა ამ ძეგლის გახსნის ამბავს მწერელ ზემს პოეტი-აკადემიკოსი მიკოლა ბაჟანი. „საზეიმო შეკრებისა და იმ ჯადოსნური ბადის ნახვის შემდეგ, სადაც ღესიამ თავისი სიცოცხლის ბოლო დღეები გაატარა და სადაც მოვიდნენ სურამის უხუცესი მკვიდრნი, რომელთაც დღემდე ახსოვთ დასწვლულბული, შორეული კი-

ვეიდან ჩამოსული თბილი და მოსიყვარულე პოეტი ქალი. ყველა მხრიდან მოემართებოდა ხალხის დიდი ნაკადი, რათა პატივი მიეგოთ პოეტის ხსოვნისათვის“.

ხაშურის რაიონული გაზეთის რედაქტორმა რობერტ სუხიაშვილმა ( სურამი შედის ხაშურის მუნიციპალიტეტში) თავი მოუყარა ღესია უკრაინკასადმი მიძღვნილ გაზეთის ფურცლებზე გამოქვეყნებულ სტატიებს და გამოსცა შესანიშნავი ალბომი, რომლის სათაურად გამოიყენა რუსთაველის ბრწყინვალე სტრიქონი „სიყვარული გზად და ხიდად“. კრებულში შეტანილია უკრაინელი ხალხის უდიდესი შვილისადმი მიძღვნილი ლექსები, ესეები, ნარკვევები, რეპორტაჟები, სამეცნიერო წერილები და ასევე ქრონიკები სახალხო დღესასწაულ „ღესიაობის“ შესახებ.

„ღესიაობა“ უკვე რამდენიმე ათწლეულია აღინიშნება და მასში მონაწილეობენ სტუმრები საქართველოსა და უკრაინის სხვადასხვა კუთხიდან. აქ ყოველ წელს ჩადის დღეგაცემები ღესიას მშობლიური კუთხიდან: ნოვოვრად-ვოლინისკიდან, კოლოდიაჟნოვდან და კიევიდან. სხვადასხვა დროს სურამს სტუმრობდნენ: ლ. ნოვინენკო, დ. პავლინკო, ი. დრანი, პ. ვინგრანოვსკი, ვ. კორტინი, პ. ოსადნუკი, ტანიუკი და კიდევ მრავალი უკრაინელი მწერალი და კულტურის მოღვაწე.

ღესია უკრაინკას მუზეუმს ასევე ხშირად სტუმრობენ ელჩები და უკრაინის დიპლომატიური მისიის წარმომადგენლები საქართველოში, ოფიციალური დელეგაციები.

ყველაფერი ეს შეგვიძლიათ ნახოთ ამ ალბომში. გამოცემის წინასიტყვაობა ეკუთვნის კრებული შემდგენელს რობერტ სუხიაშვილს, ხოლო რედაქტორია ცნობილი პოეტი და სწავლული, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი მურად მთვარელიძე.

მინდა, მადლობა გადავუხადო მათ ასეთი დიდებული ნაწარმისათვის ყველა იმ ადამიანისადმი, ვინც პატივს მიაგებს ღესია უკრაინკას სახელს და ხელს უწყობს ჩვენი ქვეყნების მჭიდრო თანამშრომლობას.

რაულ ჩილანავა

D საქართველოს პედაგოგთა და მეცნიერთა თავისუფალი პროფკავშირის ხაშურის რაიონული ორგანიზაცია თანაგრძნობას უცხადებს ხაშურის მე-4 საშუალო სკოლის დირექტორს ნანა გაგნიძეს დედის ცირას გარდაცვალების გამო.

D საქართველოს პედაგოგთა და მეცნიერთა თავისუფალი პროფკავშირის ხაშურის რაიონული ორგანიზაცია სამძიმარს უცხადებს მე-3 სკოლამდელი დაწესებულების პედაგოგ-ადმინისტრატორს ქალბატონ ნაზი ნოზაძეს მეუღლის გარდაცვალების გამო.

ა(ა)პ ხაშურის მუნიციპალიტეტის გაზეთი „ხაშურის მოამბე“. დირექტორი გიორგი გოგალაძე, მისამართი: ხაშური, ტაბიძის ქუჩა №2. ტელეფონი: 24 30 27.  
E-mail Khashurismoambe2015@gmail.com მიმღების დასახელება: ხაშურის ერთიანი ანგარიში, საიდენტიფიკაციო კოდი 443860984, სახელმწიფო ხაზინა TRESGE22, სახაზინო კოდი: 749547499.  
D-ით მონიშნული სტატია იბეჭდება დაკვეთით გაზეთი იბეჭდება თბილისში. რედაქტორი რობერტ სუხიაშვილი.